

საფრანგეთის კონსტიტუცია

ეკონომიკური ასამბლეა

1791 წლის 3 სექტემბერი

პრეამბულა

ერთგულად ასამბლეა, რომელსაც სურს შეადგინოს საფრანგეთის კონსტიტუცია მის მიერ ახლახან აღიარებული და გაცხადებული პრინციპების საფუძველზე, შეუქცევადად აუქმებს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ზიანის მომტანი იყო თავისუფლებისა და უფლებები თანასწორობისათვის.

არც დიდგვაროვნობა, არც პეტოა წოდება, არც მემკვიდრეობითი განსხვავებები, არც განსხვავებები წოდებათა შორის, არც ფეოდალური რეჟიმი, არც პატრიმონიალური სასამართლოები, არც მათგან გამომდინარე რაიმე ტიტული, კლასი ან პრივილეგია, არც რაინდთა რომელიმე თრდენი, არც რაიმე გაერთიანება ან თრდენი, რომელიც საჭიროებს დიდგვაროვნული წარმოშობის მტკიცებულებას ან გულისხმობს დაბადების მიხედვით განსხვავებებს, არც რაიმე უპირატესობა, გარდა სახელმწიფო მოხელეების უპირატესობისა თავიანთი მოვალეობების შესრულების დროს, აღარ არსებობს.

სახელმწიფო თანამდებობის არც სასყიდლით და არც მემკვიდრეობით მიღება აღარ არსებობს.

ერის არც ერთი ნაწილისთვის და არც ერთი პირისთვის აღარ არსებობს არც პრივილეგია და არც გამონაკლისი ყველა ფრანგისთვის მოქმედი საერთო კანონმდებლობიდან.

პროფესიების, ხელოვნების დარგების და ხელობების არც საზოგადოება და არც გაერთიანება აღარ არსებობს.

კანონი აღარ ცნობს რელიგიურ აღთქმას ან სხვა ვალდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება ბუნებით უფლებებს ან კონსტიტუციას.



პარტი I

კონსტიტუციით გარანტირებული

პირითა და ჯგუფებით

კონსტიტუციით გარანტირებულია შემდეგი ბუნებრივი და სამოქალაქო უფლებები:

1. ყველა მოქალაქე დაიშვება თანამდებობაზე და სამუშაო ადგილზე პირადი ღირსებისა და ნიჭის გარდა სხვა განსხვავებების მიუხედავად;
2. ყველა გადასახადი უნდა დადგინდეს თანაბრად ყველა მოქალაქისთვის, მათი სახსრების პროპორციულად;
3. მსგავსი დანაშაული დაისჯება მსგავსი სასჯელით, პირთა ყოველგვარი განსხვავების გარეშე.

კონსტიტუციით ანალოგიურად გარანტირებულია შემდეგი ბუნებრივი და სამოქალაქო უფლებები:

ყოველი ადამიანის მიმოსვლის თავისუფლება დაკავების ან დაპატიმრების გარეშე, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული ფორმით;

ყოველი ადამიანის თავისუფლება ისაუბროს, დაწეროს, დაბეჭდოს და გამოაქვეყნოს თავისი მოსაზრებები ისე, რომ მისი ნაწერები არ დაექვემდებაროს ცენზურას ან შემოწმებას გამოქვეყნებამდე, და ადავლინოს წირვა-ლოცვა ისე, როგორც ეს მას სურს;

მოქალაქეთა მშვიდობიანად და უიარაღოდ შეკრების თავისუფლება საპოლიციო რეგულაციების დაცვით;

ინდივიდუალურად ხელმოწერილი პეტციებით კანონიერი ხელისუფლების ორგანოებისადმი მიმართვის თავისუფლება.

საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია გამოსცეს ისეთი კანონი, რომელიც ხელყოფს ან ხელს უშლის ამ კანონით დაფიქსირებული და კონსტიტუციით გარანტირებული ბუნებითი და სამოქალაქო უფლებების განხორციელებას; მაგრამ, ვინაიდან, თავისუფლება გულისხმობს მხოლოდ იმის კეთების შესაძლებლობას, რაც არ ხელყოფს სხვების უფლებებს ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, კანონით შეიძლება დაწესდეს სასჯელი იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ხელყოფს რა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვების უფლებებს, შეიძლება ზიანის მომტანი იყოს საზოგადოებისთვის.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკუთრების ხელშეუხებლობა ან სამართლიან-



ნი და წინასწარი ანაზღაურება იმ ქონების სანაცვლოდ, რომლის დათმობაც საჭირო ხდება კანონით დადგენილი საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე. საკუთრება, რომელიც განკუთვნილია ღვთისმსახურების ხარჯების დასაფარად და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მიმართული ყოველგვარი მომსახურებისთვის, ეკუთვნის ერს და ყოველთვის მის განკარგულებაშია.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია საკუთრების გადაცემა, რომელიც განხორციელდა ან შეიძლება განხორციელდეს კანონით დადგენილი ფორმით.

მოქალაქეებს აქვთ უფლება, აიჩიონ ან დანიშნონ სასულიერო პირები.

უნდა შეიქმნას და მოეწყოს ხალხის დახმარების საერთო დაწესებულება ნაპოვნი ბაგემების აღსაზრდელად, უმწეო ღარიბების მდგომარეობის შესამსუბუქებლად და იმ შრომისუნარიანი ღარიბებისთვის სამუშაოს უზრუნველსაყოფად, რომლებმაც მისი შოვნა თავად ვერ შეძლეს.

უნდა ჩამოყალიბდეს და უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო სწავლება ყველა მოქალაქისთვის უფასოდ, განათლების იმ დარგებში, რომლებიც ყველა ადამიანისთვის აუცილებელია, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა გადანიშნულდეს თანდათანობით, სამეფოს დაყოფის შესაბამისად.

უნდა დაწესდეს ერთენული დღესასწაულები საფრანგეთის რევოლუციის შესახებ ხსოვნის შემოსანახად, მოქალაქეთა შორის ძმობის შესანარჩუნებლად და მათ დასავალდებულებლად კონსტიტუციის, სამშობლოს და კანონების მიმართ.

უნდა შემუშავდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელიც საერთო იქნება მთელი სამეფოსთვის.

პარო II

სამეფოს დაყოფისა და მოქალაქეთა

სტატუსის უსახეობ

პუნქტი 1. სამეფო ერთიანი და განუყოფელია; მისი ტერიტორია იყოფა ოთხმოცდასამ დეპარტამენტად, თითოეული დეპარტამენტი – რაიონებად, ხოლო თითოეული რაიონი – კანტონებად.

პუნქტი 2. საფრანგეთის მოქალაქე არის:

საფრანგეთში ფრანგი მამისგან დაბადებული პირი;



საფრანგეთში უცხოელი მამისგან დაბადებული პირი, რომელმაც თავის საცხოვრებელ ადგილად აირჩია საფრანგეთის სამეფო;

უცხო ქვეყანაში ფრანგი მამისგან დაბადებული პირი, რომელიც დაფუძნდა საფრანგეთში და დადო სამოქალაქო ფიცი;

დაბოლოს, უცხო ქვეყანაში დაბადებული პირი, რომელიც არის რელიგიური აღმსარებლობის გამო სხვა ქვეყანაში გადასახლებული ფრანგი კაცის ან ფრანგი ქალის ნებისმიერი რიგის შთამომავალი, და რომელიც საცხოვრებლად ჩამოვიდა საფრანგეთში და დადო სამოქალაქო ფიცი.

მუხლი 3. სამეფოს ფარგლებს გარეთ უცხოელი მშობლებისგან დაბადებული პირი, რომელიც ცხოვრობს საფრანგეთში და განდა საფრანგეთის მოქალაქე სამეფოში ხუთწლიანი უწყვეტი ცხოვრების შემდეგ, თუ ამასთან, მან შეიძინა უძრავი ქონება, დაქორწინდა ფრანგ ქალზე, ან დააფუძნა სასოფლო-სამეურნეო ან კომერციული დაწესებულება და თუ დადო სამოქალაქო ფიცი.

მუხლი 4. საკანონმდებლო ხელისუფლებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო მიანიჭოს ნატურალიზაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეს მხოლოდ საფრანგეთში მუდმივი ადგილსამყოფლისა და იქ სამოქალაქო ფიცის დადების საფუძველზე.

მუხლი 5. სამოქალაქო ფიცი არის შემდეგი: „ვფიცავ, რომ ვიქნები ერის, კანონის და მეფის ერთგული და მთელი ჩემი ძალმოსილებით დავიცავ სამეფოს კონსტიტუციას, რომელიც მიიღო ერთგულმა დამფუძნებელმა ასამბლეამ 1789, 1790 და 1791 წლებში“.

მუხლი 6. საფრანგეთის მოქალაქეობა იკარგება: 1. უცხო ქვეყანაში ნატურალიზაციის შედეგად; 2. ისეთი სასჯელის მისჯილი, რომელიც იწვევს მოქალაქეობის ჩამოტოვებას მანამ, სანამ მსჯავრდებული პირის უფლებები არ აღდგება; 3. სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შესახებ განაჩენით მანამ, სანამ არ მოხდება განაჩენის შეკლება; 4. რომელიმე უცხოურ რაინდთა თრენში ან რომელიმე უცხოურ გაერთიანებაში გაწევრიანების შედეგად, რომელიც ამტკიცებს პირის დიდგვაროვანულ წარმოშობას ან დაბადების მიხედვით განსწავებას, ან მითხოვს რელიგიური აღთქმის მიცემას.

მუხლი 7. კანონი ქორწინებას მიიჩნევს მხოლოდ სამოქალაქო ხელშეკრულებად.

საკანონმდებლო ხელისუფლებამ, განუზრახვლად ყველა მაცხოვრებლისთვის უნდა დაადგინოს დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების ფაქტების აღიარების მეთოდი და უნდა დანიშნოს შესაბამისი სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებმაც უნდა აწარმოონ და შეინახონ ჩანაწერები ასეთი ფაქტების შესახებ.



პუნლი 8. საფრანგეთის მოქალაქეები, იმ ადგილობრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა ქალაქებსა და სოფლის გარკვეულ ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებში ახსებულ მათი გაერთიანებების გამო, ქმნიან კომუნებს.

საკანონმდებლო ხელისუფლებამ შესაძლოა დაადგინოს თითოეული კომუნის ადმინისტრაციული ქვედანაყოფის საზღვრები.

პუნლი 9. მოქალაქეებს, რომლებიც ქმნიან კომუნას, უფლება აქვთ, განსაზღვრული ვადით და კანონით დადგენილი ფორმით კომუნის შემადგენლობიდან აირჩიონ პირები, რომლებიც მუნიციპალური მოხელეების რანგში პასუხისმგებელი იქნებიან მართონ უშუალოდ კომუნის საქმეები.

მუნიციპალურ მოხელეებს შესაძლოა დაეკისროთ გარკვეული ფუნქციები, რომლებიც ენება სახელმწიფოს საერთო ინტერესებს.

პუნლი 10. წესები, რომელთა დაცვაც მოეთხოვებათ მუნიციპალურ მოხელეებს თავიანთი მუნიციპალური მოვალეობების და იმ მოვალეობების შესრულებისას, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ საერთო კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს კანონმდებლობით.

პატი III

სახელმწიფო უფლებამოსილებათა უმსახურო

პუნლი 1. სუვერენიტეტი არის ერთიანი, განუყოფელი, გაუსხვისებელი და ხელშეუვალი. ის ვრცელდება ენზე; ხალხის არც ერთ ნაწილს და არც ერთ პირს არ აქვს უფლება თავად იკისროს მისი განხორციელება.

პუნლი 2. ებს, რომლისგანაც მომდინარეობს ყველა უფლებამოსილება, შეუძლია ასეთ უფლებამოსილებათა განხორციელება მხოლოდ დელეგირების გზით.

საფრანგეთის კონსტიტუცია არის წარმომადგენლობითი; წარმომადგენლები არიან საკანონმდებლო ორგანო და მეფე.

პუნლი 3. საკანონმდებლო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ერთგულ ასამბლეას, რომელიც შედგება ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დროებითი წარმომადგენლებისგან და რომელიც ანორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას მეფის თანხმობით, ქვემოთ განსაზღვრული წესით.

პუნლი 4. მმართველობის ფორმა არის მონარქიული; აღმასრულებელი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მეფეს, რომელსაც მისი ხელმძღვანელობით ანორცი-



ელეგენ მინისტრები და სხვა პასუხისმგებელი წარმომადგენლები ქვემოთ განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. სასამართლო უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ მოსამართლეებს, რომლებსაც იზრუნეს ხალხი დადგენილი ვადით.

თავი I

ერთგულ საკანონმდებლო ასამბლეის შემადგენელი

მუხლი 1. ერთგული ასამბლეა, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს, მუდმივია და შედგება მხოლოდ ერთი პალატისგან.

მუხლი 2. ის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ახალი აირჩევა გზით ყალიბდება. ყოველი ორწლიანი პერიოდი წარმოადგენს საკანონმდებლო პერიოდს.

მუხლი 3. წინა მუხლის მითხვენები არ ვრცელდება შემდეგ საკანონმდებლო ორგანოზე. მისი უფლებამოსილებები სრულდება 1793 წლის აპრილის ბოლო დღეს.

მუხლი 4. საკანონმდებლო ორგანოს განახლებას იურიდიული ძალა აქვს.

მუხლი 5. საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა არ შეუძლია მეფეს.

განყოფილება I

დეპუტატთა ჩათვლილება

სახალხო წარმომადგენლობის საფუძვლები

მუხლი 1. საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების ჩათვლილება შეადგენს 745 დეპუტატს, სამეფოს შემადგენელი 83 დეპარტამენტის შესაბამისად, გარდა იმ დეპუტატებისა, რომელთა აირჩევაც შეიძლება მიენიჭოს კოლონიებს.

მუხლი 2. დეპუტატების საერთო ჩათვლილება 83 დეპარტამენტზე განაწილებული ტერიტორიის, მოსახლეობისა და პირდაპირი დაბეგვრის მიხედვით.

მუხლი 3. 745 დეპუტატთაგან 247 აირჩევა ტერიტორიის სიდიდის შესაბამისად. თითოეული დეპარტამენტი ირჩევს 3 დეპუტატს, გარდა პარიზის დეპარტამენტისა, რომელიც მხოლოდ ერთ დეპუტატს ირჩევს.

მუხლი 4. 249 დეპუტატი აირჩევა მოსახლეობის ჩათვლილების შესაბამისად.



სამეფოს ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაყოფილია 249 ნაწილად. თითოეული დეპარტამენტი ირჩევს იმდენ დეპუტატს, მოსახლეობის რამდენი ნაწილიცაა მასში.

მუხლი 5. 249 დეპუტატი მოსახლეობაში პირდაპირი დაბეგვრის მიხედვითაა გადანაწილებული.

სამეფოს პირდაპირი დაბეგვრის მთლიანი ოდენობა ასევე იყოფა 249 ნაწილად და თითოეული დეპარტამენტი ირჩევს იმდენ დეპუტატს, ბეგარის რამდენ ნაწილსაც იხდის.

ბანყოფილება II

პირველადი კრიზისი

ამომრჩეველთა შერჩევა

მუხლი 1. ერთენული საკანონმდებლო ასამბლეის დაფუძნების მიზნით აქტიური მოქალაქეები უნდა შეიკრიბონ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ პირველად კრებებზე ქალაქებსა და კანტონებში.

პირველადი კრებები გაიმართება ნებართვის განკვეთის შემდეგ მარტის მეორე კვირა დღეს, თუ ისინი წინასწარ არ მოიწვიეს კანონით განსაზღვრულმა სახელმწიფო მხედველებმა.

მუხლი 2. იმისთვის, რომ პირი იყოს აქტიური მოქალაქე:

ის დაბადებული უნდა იყოს ფრანგად ან ვანდეს ფრანგი;

იყოს სრული ოცდახუთი წლის;

ის უნდა ცხოვრობდეს ქალაქში ან კანტონში კანონით განსაზღვრული ვადით;

მან სამეფოს ნებისმიერ ნაწილში უნდა გადაიხადოს პირდაპირი გადასახადი, რომელიც არ უნდა იყოს მინიმუმ სამი დღის შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

ის არ უნდა იყოს დაკავებული საოჯახო საქმეებით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს შინამოსამსახურე, რომელიც იღებს ანაზღაურებას;

ის დაბრევისტრიბუნული უნდა იყოს ერთენულ გვარდიაში იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობს;

მას დადებული უნდა ჰქონდეს სამოქალაქო ფიცი.

მუხლი 3. ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ საკანონმდებლო ორგანომ უნდა და-



ადგინოს ერთი დღის შრომის მინიმალური და მაქსიმალური ანაზღაურება, ხოლო დეპარტამენტების მმართველებმა უნდა განსაზღვრონ მისი რაოდენობა ადგილობრივად, თითოეული რაიონისთვის.

მუხლი 4. არავის აქვს უფლება განანთრციელთს აქტიური მოქალაქის უფლებები ერთზე მეტ ადგილას ან მინდობილობით.

მუხლი 5. შემდეგ პირებს არ შეუძლიათ განანთრციელთს აქტიური მოქალაქის უფლებები:

პირები, რომლებსაც ბრალი აქვთ წარდგენილი;

პირები, რომელთა გაკოტრება ან გადახდისუუნარობა დასტურდება ნამდვილი მტკიცებულებებით და რომლებიც არ წარმოადგენენ კრედიტორების დაკმაყოფილების შესახებ დოკუმენტს.

მუხლი 6. პირველად კრებებზე აიჩრევიან ამომჩრეველები ქალაქში ან კანტონში მუდმივად მცხოვრები აქტიური მოქალაქეების რაოდენობის პროპორციულად. ყოველ ას აქტიურ მოქალაქეზე, რომელიც ესწრება ან არ ესწრება კრებას, უნდა შეიჩრეს ერთი ამომჩრეველი. 151-დან 250-მდე მოქალაქეზე უნდა შეიჩრეს ორი ამომჩრეველი და ა.შ.

მუხლი 7. ამომჩრეველად არ შეიძლება შეიჩრეს პირი, თუ აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელ კრიტერიუმებთან ერთად ის არ აკმაყოფილებს შემდეგ მთხოვნებს:

იმ ქალაქებში, სადაც ცხოვრობს 6000-ზე მეტი მაცხოვრებელი, ის არის ისეთი ქონების მესაკუთრე ან უზუფრუქტუარი, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი საგადასახადო უწყისების თანახმად, ადგილობრივად 200 დღის შრომის ანაზღაურების ტოლია, ან ისეთი საცხოვრებლის დამქირავებელია, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი ზემოაღნიშნული საგადასახადო უწყისების თანახმად, არის 150 დღის შრომის ანაზღაურების ტოლი;

იმ ქალაქებში, სადაც ცხოვრობს 6000-ზე ნაკლები მაცხოვრებელი, ის არის ისეთი ქონების მესაკუთრე ან უზუფრუქტუარი, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი, საგადასახადო უწყისების თანახმად, ადგილობრივად 150 დღის შრომის ანაზღაურების ტოლია, ან ისეთი საცხოვრებლის დამქირავებელია, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი, ზემოაღნიშნული საგადასახადო უწყისების თანახმად, არის 100 დღის შრომის ანაზღაურების ტოლი;

ხოლო სასოფლო დასახლებებში ის არის ისეთი ქონების მესაკუთრე ან უზუფრუქტუარი, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი, საგადასახადო უწყისების თანახ-

მად, ადგილობრივად 150 ლლის შრომის ანაზღაურების ტოლია, ან ისეთი ქონების ფერმერი ან მონახევრეა, რომლის ღირებულებაც, ზემოაღნიშნული საგადასახადო უწყისების თანახმად, არის 400 ლლის შრომის ანაზღაურების ტოლი.

ჩაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც ერთდროულად არიან ერთი მხრივ მესაკუთრები ან უზუფერუქტუარები, ხოლო მეორე მხრივ, დამქირავებლები, ფერმერები ან მონახევრეები, მათი შემოსავლები ამ სხვადასხვა საკუთრების უფლებიდან უნდა დაჯამდეს იმ ჩაოდენობამდე, რომელიც აუცილებელია მათი ამომჩრეველად ყოფნის უფლების დასადგენად.

განყოფილება III

საარჩევნო კრებუბი

წარმომადგენელთა არჩევნა

მუხლი 1. თითოეულ და ყოველ დეპარტამენტში არჩეული ამომჩრეველები უნდა შეიკრიბონ იმ ჩაოდენობის წარმომადგენლების ასარჩევად, რომელთა არჩევაც დავალებული აქვს მათ დეპარტამენტს და, ასევე, იმ ჩაოდენობის შემცველებების ასარჩევად, რომელიც შეადგენს წარმომადგენელთა ჩაოდენობის ერთ მესამედს.

მუხლი 2. წარმომადგენლებისა და მათი შემცველებების არჩევნა უნდა მოხდეს ნმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მხოლოდ დეპარტამენტის აქტიური მოქალაქეებისგან.

მუხლი 3. ყველა აქტიური მოქალაქე, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის, პროფესიის ან გადახდილი გადასახადის მიუხედავად, შეიძლება არჩეული იყოს ერის წარმომადგენლად.

მუხლი 4. მინისტრები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სურვილისამებრ უკან გაიწვიონ, ეროვნული ნაზინის კომისრები, პირდაპირი გადასახადის ამკრეფი და მიმღები პირები, არაპირდაპირი გადასახადის ამკრეფისა და მართვანე და სახელმწიფო სამფლობელოებზე ზედამხედველი პირები და ისინი, ვინც სამხედრო და სამოქალაქო წესით დაკავშირებული არიან სამეფოსთან, ვალდებული არიან გააკეთონ არჩევანი თავის თანამდებობებსა და წარმომადგენლის თანამდებობას შორის. მმართველებს, ქვემდებარე მმართველებს, მუნიციპალურ მოხელეებს და ეროვნული გვარდიის მეთაურებს ანალოგიურად მოეთხოვებათ თავიანთი არჩევანის გაკეთება.

მუხლი 5. სამოსამართლო მოვალეობების შესრულება შეუთავსებელია ერის წარ-



მომადგენლის მოვალეობებთან საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

მოსამართლეები უნდა ჩაანაცვლონ მათმა შემცვლელებმა, ხოლო მეფემ უნდა უზრუნველყოს სასამართლოებში თავისი კომისრების ჩანაცვლება დანიშნის შესახებ განკარგულების გაცემით.

მუხლი 6. საკანონმდებლო ორგანოს წევრები შეიძლება ხელახლა იყვნენ აზრეულები შემდეგი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ ამის შემდეგ მათი აზრევა შესაძლებელია მხოლოდ ყოველი მეორე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში.

მუხლი 7. დეპარტამენტებში აზრეული წარმომადგენლები უნდა იყვნენ ანა კონკრეტული დეპარტამენტის, ანამედ მთელი ერის წარმომადგენლები და მათ არ უნდა მიენიჭოთ რაიმე მანდატი.

ბანყოფილება IV

პირველი და საარჩევნო კრებულის

ჩატარება და ჩამოყალიბება

მუხლი 1. პირველი და საარჩევნო კრებულის ამოცანები შემოიფარგლება არჩევნებით. ისინი იშლება არჩევნების დამთავრებისთანავე და შეიკრიბება მხოლოდ მოწვევის შემთხვევაში, გარდა ზემოაღნიშნული მე-2 განყოფილების პირველი მუხლითა და მე-3 ნაწილის პირველი მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. არცერთ აქტიურ მოქალაქეს არ შეუძლია სხდომაზე მისვლა და ხმის მიცემა, თუ ის შეიარაღებულია.

მუხლი 3. შეიარაღებული ძალები არ შეიძლება დაიშვან სხდომათა დარბაზში კრების გამთავრებული ნების გარეშე, თუ იქ აღდგლი არ აქვს ძალადობას. ასეთ შემთხვევაში მათ მოსახმობად საკმარისია თავმჯდომარის ბრძანება.

მუხლი 4. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კანტონის მიხედვით უნდა შედგეს აქტიური მოქალაქეების სიები თითოეულ რაიონში. თითოეული კანტონის სია დაიბეჭდება და გამოქვეყნდება პირველი კრების თარიღამდე ორი თვით ადრე.

საჩივრები, როგორც მოქალაქეთა სიაში შეყვანის წინააღმდეგ, ისე მათი სიაში არასწორად შეყვანის შესახებ, წარედგინება სასამართლოს დაჩქარებულად გადაწყვეტილების მისაღებად.

სია საფუძვლად უდევს მოქალაქეების დაშვებას უახლოეს პირველად კრებაზე,



ვინაიდან მასში არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად კრებამდე მიღებული ცვლილებები.

პუნქტი 5. საარჩევნო კრებებს უფლება აქვთ, შეამოწმონ იმ პირობა ქმედუნარიანობა და უფლებამოსილებები, ვინც იქ არის წარმოდგენილი. მათ გადაწყვეტილებებს აქვს ღრობებითი ძალა საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებამდე, დებუტატების უფლებამოსილების გადამოწმების შესახებ.

პუნქტი 6. არავითარ შემთხვევაში და არავითარი საბაბით მეფეს ან მის რომელიმე დანიშნულ ოფიცერს არ შეუძლია, განიხილოს კითხვები მოწვევის სისწორესთან, შეხვედრების ჩატარებასთან, არჩევნების ფორმასთან ან მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით; კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ეს ექვემდებარება სამეფო კომისიების მოვალეობებს, ხოლო სასამართლოში განხილვას ექვემდებარება მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

ბანყოფილება V

პროვზული საკანონმდებლო ასამბლეის

დეპუტატთა შიკრება

პუნქტი 1. დეპუტატები მასის პირველ ორშაბათს იკრიბებიან იმ სხდომათა დარბაზში, სადაც ბოლო საკანონმდებლო კრება შეიკრიბა.

პუნქტი 2. ისინი ვარკვეული დროით იკრიბებიან პალატის უხუცესი წევრის თავმჯდომარეობით, რათა შეამოწმონ დამსწრე დეპუტატების უფლებამოსილებები.

პუნქტი 3. პრეზიდიუმი უფლებამოსილებათა დადასტურების შემდეგ, ისინი ქმნიან ერთენულ საკანონმდებლო ასამბლეას, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივნებს და შეუდგება მოვალეობათა შესრულებას.

პუნქტი 4. მასის განმავლობაში ასამბლეა ვერ მიიღებს კანონს, თუ დამსწრე წევრთა რაოდენობა 373-ზე ნაკლებია.

მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არდამსწრე წევრები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ მოვალეობებს არაუგვიანეს 14 დღისა და დაექვემდებარებიან ჯარიმას 3000 ფრანკის ოდენობით, თუ ისინი არ წარმოადგენენ ასამბლეის მიერ კანონიერად აღიარებულ საპატიო მიზნებს.

პუნქტი 5. მასის ბოლო დღეს ისინი ქმნიან ერთენულ საკანონმდებლო ასამბლეას, რომელშიც ასევე წარმოდგენილია წევრთა ვარკვეული რაოდენობა.



მუხლი 6. დეპუტატები ერთად დებენ ფიქს ფრანგი ხალხის სახელით, რომ იცნოვნებენ თავისუფლად ან მოკვდებიან. შემდეგ თითოეული მათგანი დებს ფიქს, რომ მთელი თავისი ძალით დაიცავს სამეფოს კონსტიტუციას, რომელიც მიიღო დამფუძნებელმა ერთგულმა ასამბლეამ 1789, 1790 და 1791 წლებში, რომ არ შესთავაზებს ან დაამტკიცებს საკანონმდებლო პერიოდში არაფერს, რაც შეიძლება არღვევდეს მათ და რომ ყველაფერში იქნება ერის, კანონისა და მეფის ერთგული.

მუხლი 7. ერის დეპუტატები ხელშეუხებელი არიან. არ შეიძლება მათი დევნა, ბრალდება და გასამართლება ნებისმიერ დროს მათ მიერ სიტყვიერად და წერილობით გამოთქმული აზრების ან წარმომადგენლობითი მოვალეობების შესრულებისას ჩადენილი ქმედებების გამო.

მუხლი 8. ისინი შეიძლება დააკავონ დანაშაულის ჩადენის დროს ან დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე. თუმცა, შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა გაეზავნოს საკანონმდებლო ორგანოს და გამოძიება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს, რაც საკანონმდებლო ორგანო გადაწყვეტს, რომ ბრალდება უცვლელი დარჩება.

თავი II

მონარქიის, რეპუბლიკისა და მონისტრუქციის უსასხუბ

ბანყოფილება I

მონარქია და მეფე

მუხლი 1. მონარქია არის განუყოფელი და ის მეკვიდრეობით გადაეცემა სამეფო ოჯახს, მამაკაცის ხაზით, მაიორატის წესით, ქალებისა და მათი შთამომავლების სამუდამო გამორიცხვით.

მუხლი 2. მეფის პიროვნება ხელშეუხებელი და წმინდაა; მისი ერთადერთი ტიტულია საფრანგეთის მეფე.

მუხლი 3. საფრანგეთში არ არსებობს კანონზე მაღლა მდგომი ხელისუფლების ორგანო; მეფე მართავს მხოლოდ კანონის ძალით და მას მხოლოდ კანონის სახელით შეუძლია მოითხოვოს მოჩილება.

მუხლი 4. ტახტზე ასვლისას ან სრულწლოვანების მიღწევისთანავე მეფემ, საკანონმდებლო ორგანოს თანდასწრებით, ერის წინაშე უნდა დადოს ფიცი, რომ იქნება ერისა და კანონის ერთგული, რომ მისთვის მინიჭებულ მთელ ძალაუფლებას გამოიყენებს ერთგული დამფუძნებელი ასამბლეის მიერ 1789, 1790 და 1791 წლებში

მიღებული კონსტიტუციის დასაცავად, და რომ უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას.

თუ ამ დროს არ მიმდინარეობს საკანონმდებლო ორგანოს სესია, მეფემ უნდა გამოაქვეყნოს პროკლამაცია, რომელიმე მოცემული იქნება ზემოაღნიშნული ფიცი და დაპირება, რომ მეფე გაიმეორებს ფიცს საკანონმდებლო ორგანოს შეკრებისთანავე.

მუხლი 5. თუ საკანონმდებლო ორგანოს მოწვევიდან ერთი თვის შემდეგ მეფე არ დადებს ზემოაღნიშნულ ფიცს, ან თუ მისი დადების შემდეგ ის მას უარყოფს, მეფე ჩაითვლება ტახტიდან გადამდგარად.

მუხლი 6. თუ მეფე სათავეში ჩაუდგება არმიას და წარმართავს მას ერის წინააღმდეგ, ან თუ ის თფიციალური განცხადებით არ შეეწინააღმდეგება მისი სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ასეთ წამოწყებას, მეფე ჩაითვლება ტახტიდან გადამდგარად.

მუხლი 7. თუ სამეფოდან წასვლის შემდეგ მეფე არ დაბრუნდება საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაკეთებული მოწვევის შედეგად და პროკლამაციით დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები, მეფე ჩაითვლება ტახტიდან გადამდგარად.

აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება საკანონმდებლო ორგანოს პროკლამაციის სესიის გამართვის აღვილზე გამოქვეყნების დღიდან; ხოლო მინისტრებს დაევალება თავიანთი პასუხისმგებლობით აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა იმ საქმიანობის შესრულება, რომელთა განხორციელებაც უნდა შეჩერდეს გადამდგარი მეფის მიერ.

მუხლი 8. ამჟამად ან კანონიერი გადადგომის შემდეგ მეფე ჩაითვლება მოქალაქედ და, როგორც ასეთი, ის ექვემდებარება ბრალდებას და გასამართლებას გადადგომის შემდეგ განხორციელებული ქმედებებისთვის.

მუხლი 9. კერძო საკუთრება, რომელიც ტახტზე ასვლისას მეფის საკუთრებაშია, შეუქცევადად უერთდება ეროვნულ ქონებას. მას უფლება აქვს განკარგოს ის, რასაც იძენს სპეციალური წოდების საფუძველზე. თუ ის არ განკარგავს მათ, მისი მმართველობის დასასრულს ისინიც შეუერთდება ეროვნულ ქონებას.

მუხლი 10. ერი სამეფო ტახტის ბრწყინვალეობას უზრუნველყოფს სამოქალაქო სიის მეშვეობით, რომლის ოდენობას ადგენს საკანონმდებლო ორგანო ხელისუფლების ყოველი ცვლილებისას მმართველობის მთელი ვადისთვის.

მუხლი 11. მეფე ნიშნავს სამოქალაქო სიის ადმინისტრატორს, რომელიც თავის თავზე იღებს მეფის სასამართლო წარმომადგენლობას და რომლის სახელზეც შე-



დის ყველა საჩივარი მეფის წინააღმდეგ და რომელსაც ატყობინებენ ყველა სასამართლო გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო სიის კრედიტორების მიერ მიღწეული გადაწყვეტილებები აღსრულდება პირადად ადმინისტრატორის მიმართ და მის ქონებაზე.

მუხლი 12. გარდა საპატიო ყაზაულისა, რომელიც შედგება ერთგნული გვარდიის წევრებისგან და მეფეს თავის რეზიდენციაში მიეწოდება, მას ასევე ჰყავს სამოქალაქო სიის სახსრებით ანაზღაურებული გვარდია. რათდენობრივად ის არ უნდა აღემატებოდეს 1200 ქვეითს და 600 ცხენოსანს.

წოდებების მინიჭებისა და დაწინაურების წესები იგივეა, რაც რეგულარული ჯარისთვის. მაგრამ ისინი, ვინც მეფის გვარდიაში შედიან, იზღუდებიან მხოლოდ ამ უკანასკნელის წოდებებით და არ შეუძლიათ სხვა წოდების მიღება რეგულარულ ჯარებში.

მეფეს თავისი გვარდიის შემადგენლობა შეუძლია აიძრიოს იმ პირობებში, ვინც ამჟამად აქტიურად მსახურობს რეგულარულ ჯარში ან იმ მოქალაქეთაგან, რომლებმაც ერთი წელი იმსახურეს ერთგულ გვარდიაში, იმ პირობით, რომ ისინი ცხთვობენ სამეფოში და დადებული აქვთ სამოქალაქო ფიცია.

მეფის გვარდია არ შეიძლება მოწვეული ან გამოყენებული იქნეს სხვა საჯარო სამსახურისთვის.

განყოფილება II კომენტობა

მუხლი 1. მეფე ითვლება არასრულწლოვნად სრული თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო მისი არასრულწლოვანების პერიოდში ინიშნება სამეფოს რეგენტი.

მუხლი 2. რეგენტობა ეკუთვნის ტახტის მემკვიდრეობის რიგითობის მიხედვით მეფის უახლეს ნათესავს, რომელიც არის სრული თვრამეტი წლის, იმ პირობით, თუ ის არის მკვიდრი ფრანგი, არ არის სხვა ტახტის შესაძლო მემკვიდრე და მანამდე დადებული აქვს სამოქალაქო ფიცია. ქალი ვერ იქნება რეგენტი.

მუხლი 3. თუ არასრულწლოვან მეფეს არ ჰყავს ნათესავი, რომელიც ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ პირობას აკმაყოფილებს, სამეფოს რეგენტის არჩევა მოხდება შემდეგი მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საკანონმდებლო ორგანოს არ აქვს რეგენტის არჩევის უფლება.



მუხლი 5. თითოეული და ყოველი რაიონის ამომრჩეველი უნდა შეიკრიბოს რაიონის მთავარ ქალაქში, საკანონმდებლო ორგანოს მიერ ახალი მეფის მმართველობის პირველ კვირას გაკეთებული პროკლამაციის შემდეგ, თუ მიმდინარეობს საკანონმდებლო ორგანოს სესია; ხოლო, თუ საკანონმდებლო ორგანოს შესვენება აქვს, იუსტიციის მინისტრმა უნდა გააკეთოს ასეთი პროკლამაცია იმავე კვირაში.

მუხლი 6. ამომრჩეველებმა თითოეულ და ყოველ რაიონში ინდივიდუალური კენჭისყრით და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უნდა აირჩიონ რაიონში მუდმივად მცხოვრები უფლებამოსილი მოქალაქე, რომელსაც მათ არჩევნების თქმით უნდა მიანიჭონ სპეციალური მანდატი, რომელიც შემიფარდება იმ მოქალაქის არჩევის ერთადერთი ფუნქციით, რომელსაც ის თავისი შეხედულებითა და სინდისის კანონით მიიჩნევს სამეფოს რეგენტობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად.

მუხლი 7. რაიონებში არჩეული სავალდებულო მოქალაქეები ვალდებული არიან შეიკრიბონ არასრულწლოვანი მეფის ტახტზე ასვლიდან არაუგვიანეს ორმოცოდედღის ვადაში იმ ქალაქში, სადაც საკანონმდებლო ორგანო მართავს სესიებს და ჩამოაყალიბონ საარჩევნო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს რეგენტი.

მუხლი 8. რეგენტის არჩევა ხდება ინდივიდუალური კენჭისყრით და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 9. საარჩევნო კრება ფუნქციონირებს მხოლოდ არჩევნებამდე და იშლება არჩევნების დასრულებისთანავე. ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც ის განახორციელებს, არის არაკონსტიტუციური და ბათილი.

მუხლი 10. საარჩევნო კრება თავისი თავმჯდომარის მეშვეობით არჩევნების თქმს გადასცემს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც არჩევნების კანონიერების შემოწმების შემდეგ აქვეყნებს მას მთელს სამეფოში პროკლამაციის მეშვეობით.

მუხლი 11. რეგენტი ასრულებს მეფის ყველა მოვალეობას, სანამ ის სრულწლოვანებას მიაღწევს და ის არ არის პირადად პასუხისმგებელი მისი ადმინისტრაციის ქმედებებზე.

მუხლი 12. რეგენტს შეუძლია დაიწყოს თავისი მოვალეობების შესრულება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ორგანოს თანდასწრებით დადებს ფიცს ერის წინაშე, რომ იქნება ერის, კანონისა და მეფის ერთგული, რომ განახორციელებს მეფისთვის მინიჭებულ ყველა უფლებამოსილებას, რომლის განხორციელებაც მას ევალება მეფის არასრულწლოვანების პერიოდში, რომ დაიცავს ერთგული დამფუძნებელი ასამბლეის მიერ 1789, 1790 და 1791 წლებში მიღებულ კონსტიტუციას და ხელს შეუწყობს კანონების აღსრულებას.



თუ საკანონმდებლო ორგანო შეკრებილი არ არის, რეგენტი გამოსცემს პროკლამაციას, რომელიც შეიცავს ამ ფიქს და დაპირებას, რომ ის მას გაიმეორებს საკანონმდებლო ორგანოს შეკრებისთანავე.

მუხლი 13. კანონების დამტკიცება გადაიდება მანამ, სანამ რეგენტი არ შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. მინისტრები ავტომატურად აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა აქტის შესრულებას თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

მუხლი 14. რეგენტის მიერ ფიქსის დადებისთანავე საკანონმდებლო ორგანომ უნდა განსაზღვროს მისი ანაზღაურების თანხა, რომელიც არ უნდა შეიცვალოს რეგენტობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 15. თუ რეგენტობის განსახორციელებლად დანიშნული ნათესავის არასრულწლოვანების გამო, რეგენტობა უფრო შორეულ ნათესავზე გადადის ან ენიჭება მას არჩევის გზით, მაშინ რეგენტი, რომელმაც დაიწყო თავისი მოვალეობების შესრულება, ავტომატურად მათ შესრულებას მანამ, სანამ მეფე სრულწლოვანი გახდება.

მუხლი 16. სამეფოს რეგენტობა არანაირ უფლებას არ ანიჭებს არასრულწლოვანი მეფის პიროვნებას.

მუხლი 17. არასრულწლოვანი მეფის მეურვეობა დაეკისრება მის დედას, ხოლო თუ მას დედა არ ჰყავს, ან თუ დედამისი ხელახლა არის გათხოვილი შვილის ტახტზე ასვლის დროს ან ხელახლა გათხოვდება მისი არასრულწლოვანების პერიოდში, მეურვეობა დაეკისრება საკანონმდებლო ორგანოს.

არასრულწლოვანი მეფის მეურვედ არ შეიძლება არჩეულ იქნენ რეგენტი, მისი შთამომავლები ან ქალები.

მუხლი 18. მეფის ამკარა ფსიქიკური აშლილობის შემთხვევაში, რომელიც კანონიერად უნდა დაადგინოს და გამოაცხადოს საკანონმდებლო ორგანომ ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ზედინდელ სამი განხილვის შემდეგ, რეგენტობა გრძელდება მანამ, სანამ გრძელდება ფსიქიკური აშლილობა.

ბანყოფილება III

მეფის ოჯახის შემსახე

მუხლი 1. მომავალი ტახტის მემკვიდრე ატარებს სამეფო პრინცის სახელს.

მას არ შეუძლია სამეფოს დატოვება საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების და მეფის თანხმობის გარეშე.

თუ ის დატოვებს სამეფოს და 18 წლის ასაკის მიღწევას არ დაბრუნდება საფ-



მუხლი 7. დოკუმენტები, რომლებიც კანონიერად აღგენს საფრანგეთის პრინციპების დაბადებას, ქორწინებასა და გარდაცვალებას, უნდა წარედგინოს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს მათ არქივში შეტანას.

მუხლი 8. სამეფო თჯახის წევრების საკუთრებაში არ არის მიწის ნაკვეთები.

მეფის უმცროსი ვაჟები 25 წლის ასაკის მიღწევას ან დაქორწინების შემთხვევაში იღებენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ანუიტიტს, რომელიც წყდება მამის, როდესაც სრულდება მათი მამრობითი სქესის შთამომავლების სიცოცხლე.

ბანყოფილება IV

მინისტრები

მუხლი 1. მინისტრების შერჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ მეფეს.

მუხლი 2. ამჟამინდელი ეროვნული ასამბლეის და ყოველი შემდგომი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს წევრები, საკასაციო სასამართლოს წევრები და ნაფიცი მსაჯულთა დიდი ჟიურის მსაჯულები არ უნდა დაინიშნონ თანამდებობაზე სამინისტროში ან მათ არ უნდა მიიღონ რაიმე თანამდებობა, საჩუქარი, შემწეობა, ანაზღაურება ან საკომისიო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ან მისი წარმომადგენლებისგან თავიანთი ფუნქციების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში, ან ასეთი ფუნქციების შესრულების შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში.

იგივე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მხოლოდ ირიცხებიან ნაფიცი მსაჯულთა დიდი ჟიურის სიაში, მათი სიაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 3. არავის შეუძლია შეუდგეს მოვალეობების შესრულებას რომელიმე თანამდებობაზე სამინისტროს აპარატში ან სახელმწიფო შემოსავლების მართვისა თუ აღმინისტრირების ორგანოში ან, ზოგადად, დასაქმდეს აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებაში არსებულ რომელიმე თანამდებობაზე, სამოქალაქო ფიცის დადების ან ამ ფიცის დადების მტკიცებულების წარდგენის გარეშე.

მუხლი 4. მეფის არც ერთი ბრძანება არ უნდა შესრულდეს, თუ მას ხელი არ მოაწერა მეფემ და თუ ის ხელმოწერით არ დაამოწმა მინისტრმა ან [მთავრობის] დეპარტამენტის მმართველმა.

მუხლი 5. მინისტრები პასუხისმგებელი არიან მათ მიერ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ ჩადენილ ყველა დანაშაულებზე;



საკუთრების და ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფის ყველა შემთხვევაზე; მათი დეპარტამენტის ხარჯებისთვის გამოყოფილი შემოსავლების გაფლანგვაზე.

მუხლი 6. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მეფის ბრძანებამ, სიტყვიერმა თუ წერილობითმა, გაათავისუფლოს მინისტრი პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 7. მინისტრებმა ყოველწლიურად, სესიის გახსნისას, საკანონმდებლო ორგანოს უნდა წარუდგინონ მათ დეპარტამენტებში გასაწევი სავარაუდო დანახარჯები, ასევე ანგარიში ამისთვის განკუთვნილი თანხების გამოყენების და მათი ბოლოტად გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მთავრობის სხვადასხვა განყოფილებაში.

მუხლი 8. დაუშვებელია რომელიმე მინისტრი, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ან მის შემდეგ, დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას მის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამო, საკანონმდებლო ორგანოს განკარგულების ვარჯიშით.

თავი III

საკანონმდებლო ხელისუფლების

განხორციელების შესახებ

განყოფილება I

პროზნული საკანონმდებლო ასამბლეის

უფლებამოსილებები და ფუნქციები

მუხლი 1. კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს ანიჭებს მხოლოდ შემდეგ უფლებამოსილებებს და ფუნქციებს:

1. კანონების შესახებ წინადადებების წარდგენა და კანონების ამოქმედება; მეფეს შეუძლია მხოლოდ მოიწვიოს საკანონმდებლო ორგანო ამა თუ იმ საკითხის განსახილველად;
2. სახელმწიფო დანახარჯების დადგენა;
3. სახელმწიფო გადასახადების დაწესება და მათი ტიპის, კვოტის, ხანგრძლივობის და აკრეფის მეთოდის განსაზღვრა;
4. სამეფოს დეპარტამენტებს შორის პიზდაპირი გადასახადების შეფასება, ყველა სახელმწიფო შემოსავლის გამოყენებაზე ზედამხედველობა და ამის შესახებ ანგარიშის წარდგენა;



5. სახელმწიფო თანამდებობის შექმნის ან გაუქმების შესახებ განკარგულების გაცემა;
6. მონეტების სინჯის, წონის, ტვიფრის და ნომინალის დადგენა;
7. საფრანგეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარის შეყვანის და სამეფოს პოტენტში უცხო ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების შეყვანის ნებართვა ან აკრძალვა;
8. კანონმდებლობის შედგენა ყოველწლიურად, მეფის წინადადებით, სასმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალების შემადგენლობაში მყოფი მოსამსახურეებისა და ხომალდების ჩათვლით, ყველა ტანგის მოსამსახურეების ჩათვლით და ანაზღაურებასთან, სამხედრო ძალებში მიღებისა და დაწინაურების წესებთან და ჩარიცხვისა და გათავისუფლების ფორმებთან, გემის ეკიპაჟების ფორმირებასთან, საფრანგეთის სამსახურში უცხო ქვეყნის ჯარების ან სამხედრო-საზღვაო ძალების მიღებასთან და დემობილიზაციის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
9. კანონმდებლობის შედგენა ერთვნილი სამფლობელოების მართვასა და გასხვისებასთან დაკავშირებით;
10. მინისტრების და აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ერთვნილი უმაღლესი სასამართლოს წინაშე; იმავე სასამართლოს წინაშე იმ პირებისთვის ბრალის წაყენება და სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებსაც ბრალად ედებათ სახელმწიფოს ზოგადი უსაფრთხოების ან კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედება და შეთქმულება;
11. კანონების გამოცემა, რომელთა მიხედვითაც წმინდად პირადი ღირსების ნიშნები ან თრღენები უნდა მიენიჭოთ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოს სამსახურში;
12. მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს აქვს უფლება, გასცეს სახელმწიფო ჯილდოები დიდი ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად.

მუხლი 2. თმი შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებით, მეფის ფორმალური და აუცილებელი წინადადების საფუძველზე და მისი ნებართვით.

გარდაუვალი ან ფაქტობრივი საომარი მოქმედებების, ან მოკავშირისთვის დახმარების აღმოჩენის ან უფლების იარაღის ძალით დაცვის შემთხვევაში მეფემ ამის

შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საკანონმდებლო ორგანოს და შეატყობინოს ამის მიზეზები. თუ საკანონმდებლო ორგანო ისვენებს, მეფემ ის დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს.

თუ საკანონმდებლო ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ თმი აზრ უნდა დაიწყოს, მეფემ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები საომარი მოქმედებების შეწყვეტის ან თავიდან აცილების მიზნით, ხოლო შეფერხების გამო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ მინისტრებს.

თუ საკანონმდებლო ორგანო დაადგენს, რომ დაწყებული საომარი მოქმედებები წარმოადგენს დანაშაულებრივ აგრესიას მინისტრის ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მხრიდან, აგრესიის ჩამდენის მიმართ უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

თმის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს მეფეს ზავთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება, ხოლო მეფე ვალდებულია დაემთხვილოს ასეთ მოთხოვნას.

თმის დამთავრებისთანავე საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაადგინოს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა მონდეს სამშვიდობო ძალების შემადგენლობის აღმატებით შეგროვებული ჯარის დემობილიზაცია, ხოლო არმია უნდა შემცირდეს მის ჩვეულებრივ შემადგენლობამდე.

მუხლი 3. სამშვიდობო, სამოკავშირეთ და სავაჭრო ხელშეკრულებების რატიფიკაცია წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებას და არცერთი ხელშეკრულება არ უნდა შევიდეს ძალაში ასეთი რატიფიკაციის გარეშე.

მუხლი 4. საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს განსაზღვროს სესიების ჩატარების ადგილი, გააგრძელოს სესია მანამ, სანამ საჭიროდ მიიჩნევს, და გადადოს სესია. თუ საკანონმდებლო ორგანო არ შეიკრიბება ყოველი მეფობის პერიოდის დასაწყისში, ის დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული.

საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს დაიცვას წესრიგი სესიის ჩატარების ადგილზე და მის მიერ განსაზღვრულ მომიჯნავე ტერიტორიაზე.

მას უფლება აქვს გააკონტროლოს მისი წევრების მიერ დისციპლინის დაცვა, მაგრამ არ შეუძლია დააწესოს იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე საყვედური, დაკავება ერთი კვირით ან თავისუფლების აღკვეთა სამი დღით.

თავისი უსაფრთხოებისთვის და მის მიმართ სათანადო პატივისცემის შესანარჩუნებლად საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს გამოიყენოს ის ძალები, რომლებიც მისივე თანხმობით განთავსებულია ქალაქში, სადაც მართავს სესიებს.



მუხლი 5. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ქვეითი ჯარის რთმელომე დანაყოფის გავლა ან დროებით ყოფნა საკანონმდებლო ორგანოდან 30 000 ტუაზის მანძილზე, თუ არა მისი მხრიდან მოთხოვნის ან მისი ნებართვის შემთხვევაში.

ბანყოფილება II

სსსიპის გამაერთიანებელი და განხილვის ფორმა

მუხლი 1. საკანონმდებლო ორგანოს სხდომები საჯაროა, ხოლო მისი სესიების თქმი უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 2. ამის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს ჩამოყალიბდეს სრული შემადგენლობის კომიტეტად.

ამის მოთხოვნის უფლება აქვს ორმოცდაათ წევრს.

სრული შემადგენლობით კომიტეტის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში დამკვირვებლები უნდა გადადგნენ თანამდებობიდან, თავმჯდომარის ადგილი უნდა გათავისუფლდეს, ხოლო წესრიგი უნდა შეინარჩუნოს თავმჯდომარის მთადგილემ.

მუხლი 3. ყველა საკანონმდებლო აქტის განხილვა და ამოქმედება უნდა მოხდეს ქვემოთ განსაზღვრული ფორმით.

მუხლი 4. განკარგულების პროექტის სამი მოსმენა უნდა გაიმართოს სამი შუალედით, რომელთაგან თითოეული არ უნდა იყოს ერთ კვირაზე ნაკლები.

მუხლი 5. ყოველი მოსმენის შემდეგ უნდა დაიწყოს განხილვა; თუმცა, პირველი ან მეორე მოსმენის შემდეგ საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება გამოაცხადოს, რომ არსებობს განხილვის გადადების მიზეზი ან რომ არ არსებობს განხილვის საჭიროება; ამ უკანასკნელ შემთხვევაში განკარგულების პროექტი შეიძლება ხელახლა იქნეს წარდგენილი იმავე სესიაზე.

ყველა განკარგულების პროექტი უნდა დაიბეჭდოს და დაზოგდეს მეორე მოსმენამდე.

მუხლი 6. მესამე მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ უნდა დააყენოს საკითხი განსახილველად, ხოლო საკანონმდებლო ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა ის მზად საბოლოო განკარგულების მისაღებად, ან სურს თუ არა მას გადაწყვეტილების გადადება დამატებითი განმარტებების მოპოვების მიზნით.

მუხლი 7. საკანონმდებლო ორგანომ არ უნდა დაიწყოს განხილვა, თუ სხდომა არ შედგება სულ მცირე ორასი წევრისგან, ხოლო განკარგულების მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 8. დაუშვებელია ხელახლა წარდგენა იმავე სესიის განმავლობაში განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტისა, რომელიც არ დაკმაყოფილდა მესამე მოსმენის შემდეგ.

მუხლი 9. ყველა საბოლოო დადგენილების პრეამბულაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი: 1. სესიის თარიღები, რომლის განმავლობაშიც გაიმართა პროექტის სამუშაოს მოსმენა; 2. დადგენილება, რომლითაც მესამე მოსმენის შემდეგ მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება.

მუხლი 10. მეფემ უარი უნდა თქვას ისეთი განკარგულების დამტკიცებაზე, რომლის პრეამბულაშიც არ არის დაცული ზემოაღნიშნული წესი; ასეთი განკარგულების დამტკიცების შემთხვევაში, მინისტრებმა არ უნდა დაუსვან მას ბეჭედი ან გამოაქვეყნონ ის, და ამასთან დაკავშირებით მათი პასუხისმგებლობა უნდა გაგრძელდეს ექვსი წლის განმავლობაში.

მუხლი 11. საკანონმდებლო ორგანოს მიერ წინარე განხილვის დროს აღიარებული და გადაუდებლად გამოცხადებული განკარგულებები წარმოადგენენ გამონაკლისს ზემოაღნიშნული დებულებებიდან; თუმცა, ისინი შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს იმავე სესიის ფარგლებში.

განკარგულებაში, რომლითაც საკითხი ცხადდება გადაუდებლად, უნდა მიეთითოს საამისო მოტივები და ამ წინარე განკარგულების შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს საბოლოო განკარგულების პრეამბულაში.

განყოფილება III

მეფის მიერ დამტკიცება

მუხლი 1. საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებები წარედგინება მეფეს, რომელსაც შეუძლია არ დაეთანხმოს მათ.

მუხლი 2. თუ მეფე უარს იტყვის თანხმობაზე, ასეთ უარს ექნება მხოლოდ დამაყოფნებელი ძალა.

როდესაც ერთი და იმავე განკარგულების ერთი და იმავე პირობებით წარდგენა ხდება საკანონმდებლო ორგანოს თანმიმდევრულად ორი მოწვევის ფარგლებში იმ მოწვევის შემდეგ, რომლის დროსაც ეს განკარგულება შედგენილ იქნა, ჩაითვლება რომ მეფემ ის დაამტკიცა.

მუხლი 3. მეფის თანხმობა ყველა განკარგულებაზე გამოიხატება შემდეგი ჩანაწერით, რომელსაც ხელს აწერს მეფე:



მეფე თანახმაა და აღასრულებს.

დამაყენებელი ძალის მქონე უაზრი აზრის შემდეგი: მეფე განიხილავს.

მუხლი 4. მეფემ უნდა გამოხატოს განკარგულებასზე თავისი თანხმობა ან უაზრი მისი წარდგენიდან თბი თვის განმავლობაში.

მუხლი 5. აზრ ებთი განკარგულება, რომელზეც მეფე აზრ გასცემს თანხმობას, აზრ შეიძლება ხელახლა წარედგინოს მას იმავე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

მუხლი 6. მეფის მიერ დამტკიცებულ და ზედინედ სამი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს მიერ წარდგენილ განკარგულებას აქვს კანონის ძალა, კანონის დასახელება და სათაური.

მუხლი 7. მიუხედავად ამისა, ქვემოთ ჩამოთვლილი უნდა აღსრულდეს როგორც კანონი და ისინი აზრ ექვემდებარება მეფის მიერ დამტკიცებას: საკანონმდებლო ორგანოს აქტები სათათბირო კრების სახით მისი ფორმირების შესახებ;

მისი შიდა კონტროლი და ის, რაც შეუძლია განახორციელოს მის მიერ განსაზღვრულ მომიჯნავე ტერიტორიებზე;

მისი დამსწრე წევრების უფლებამოსილების გადამოწმება; აკრძალვის ღონისძიებები იმ წევრების მიმართ, რომლებიც აზრ ესწრებიან;

დაგვიანებული პირველადი შეკრების მოწვევა;

კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება მმართველებსა და მუნიციპალურ მთხელებზე; შეკითხვები უფლებამოსილებასთან ან აზრჩვენების კანონიერებასთან დაკავშირებით.

ანალოგიურად, მეფის თანხმობას აზრ საჭიროებენ აზრც მინისტრთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული აქტები და აზრც განკარგულებები, რომლებიც აღასრულებს, რომ მათ მიმართ აზრსებობს ბრალდების საფუძველი.

მუხლი 8. საკანონმდებლო ორგანოს განკარგულებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო გადასახადების დადგენას, გადავადებას და აკრეფას, უნდა ჰქონდეთ კანონების დასახელება და სათაური. ისინი უნდა გამოქვეყნდეს და აღსრულდეს დამტკიცების გარეშე, გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც ადგენს საუბრავს, ჯარიმებისა და ფულადი შეზღუდვების გამოკლებით.

ზემოაღნიშნული განკარგულებები შეიძლება გამოცემულ იქნეს მხოლოდ ამ თავის მე-2 განყოფილების მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინ-

ნებული ფორმალობების დაცვით; ხოლო საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია დაამატოს მათ ისეთი დებულებები, რომლებიც არ შეესაბამება მათ მიზანს.

განყოფილება IV

საკანონმდებლო ორგანოს უკომპრომიზო მუშაობა

მუხლი 1. როდესაც საკანონმდებლო ორგანო საბოლოოდ ფორმირდება, მან მეფეს უნდა გაუგზავნოს დებუტატია, რათა აცნობოს ამ ფაქტის შესახებ. ყოველ წელს მეფეს შეუძლია განსნას სესია და დააყენოს ის საკითხები, რომლებიც, მისი აზრით, განხილული უნდა იქნეს სესიის მსვლელობისას; თუმცა, ასეთი ფორმალობა არ უნდა ჩაითვალოს აუცილებლად საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებისთვის.

მუხლი 2. როდესაც საკანონმდებლო ორგანოს სუბს სესიის ორ კვირაზე მეტი ხნით გადადება, ის ვალდებულია ამის შესახებ დებუტატით აცნობოს მეფეს სულ მცირე ერთი კვირით ადრე.

მუხლი 3. ყოველი სესიის დასრულებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე საკანონმდებლო ორგანომ დებუტატით უნდა აცნობოს მეფეს იმ დღის შესახებ, როდესაც მას სუბს სესიის შეწყვეტა. მეფე შეიძლება მივიდეს სესიის დასახუბად.

მუხლი 4. თუ მეფე სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სესია უნდა გაგრძელდეს ან არ გადაიდოს, ან გადაიდოს მხოლოდ მოკლე დროით, მას შეუძლია ამის შესახებ გაგზავნოს შეტყობინება, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს.

მუხლი 5. მეფემ უნდა მოიწვიოს საკანონმდებლო ორგანო სესიებს შორის პერიოდში, თუ, მისი აზრით, ეს აუცილებელია სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე სესიის გადადებაზე საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოსალოდნელ და განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 6. ყოველთვის, როდესაც მეფე მიდის საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში, მას ხვდება და აცხილებს დებუტატია. დარბაზის შიგნით მას შეიძლება ახლდნენ მხოლოდ ტახტის მემკვიდრე პრინცი და მინისტრები.

მუხლი 7. თავმჯდომარეს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დებუტატიაში.

მუხლი 8. მეფის თანდასწრებით საკანონმდებლო ორგანო აღარ არის სათათბირო ორგანო.



მუხლი 9. მეფის მიმორჩევა საკანონმდებლო ორგანოსთან ყოველთვის უნდა იყოს დამორჩეული მინისტრის ხელმძღვანელი.

მუხლი 10. მეფის მინისტრებს უნდა ჰქონდეთ ეროვნულ საკანონმდებლო ასამბლეაში შესვლის უფლება, ჰქონდეთ მათთვის გამოყოფილი ადგილი.

მთხოვნის შემთხვევაში, მათ უნდა მოუსმინონ მათი მართვის სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით, ან როდესაც სთხოვენ განმარტებებს.

ანალოგიურად, მინისტრებს, როდესაც ეროვნული ასამბლეა აძლევს სიტყვის უფლებას, უნდა მოუსმინონ იმ საკითხებთან დაკავშირებითაც, რომლებიც არ შედის მათი მართვის სფეროში.

თავი IV

აღმასრულებელი ხელისუფლების

განხორციელების უსახეობა

მუხლი 1. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს.

მეფე არის სამეფოს საერთო ადმინისტრაციის უმაღლესი ხელმძღვანელი პირი; მას ევალება საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დაცვაზე ზედამხედველობა.

მეფე არის ჯარისა და სამხედრო-საზღვაო ძალების უმაღლესი ხელმძღვანელი პირი.

სამეფოს საგარეო უსაფრთხოებაზე ზრუნვა და სამეფოს უფლებებისა და საკუთრების შენარჩუნება ევალება მეფეს.

მუხლი 2. მეფე ნიშნავს ელჩებს და პოლიტიკური მოლაპარაკებების სხვა წარმომადგენლებს.

ის ნიშნავს არმიისა და ფლოტის მეთაურებს და ანიჭებს საფრანგეთის მარშლისა და ადმირალის წოდებებს.

ის ნიშნავს კონტრადმირალთა ორ მესამედს, გენერალ-ლეიტენანტთა, გენერალ-მაიორთა, სამხედრო ხომალდთა კაპიტანებისა და ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკთა ნახევარს.

ის ნიშნავს პოლკოვნიკებისა და პოდპოლკოვნიკების ერთ მესამედს და კაპიტან-ლეიტენანტთა ერთ მეექვსედს.

და ეს ყველაფერი დაწინაურების უსახეობა კანონების შესაბამისად.

ფლოტის სამოქალაქო ადმინისტრაციაში ის ნიშნავს ანსენალების სუბინტენდანტებს, მეთვალყურეებს და ხაზინადრებს, სამუშაოების ხელმძღვანელებს, სამოქალაქო თბილეთების ზედამხედველებს, ადმინისტრაციული ზედამხედველებისა და მშენებლობის ზედამხედველების ნახევარს.

ის ნიშნავს ტრიბუნალის კომისრებს.

ის ნიშნავს ირბი გადასახადების ადმინისტრირებისა და ეროვნული ქონების ადმინისტრირების უფროსებს.

ის ზედამხედველობს მონეტების ჭრას და ნიშნავს მონეტებს, რომლებსაც მინდობილი აქვთ ზედამხედველობა გენერალურ კომისიაში და ზარაფხანაში.

სამეფოს ყველა მონეტაზე დატანილია მეფის გამოსახულება.

მუხლი 3. მეფე საპატენტო სიგელს, ორდებს და რწმუნებულებას გადასცემს სახელმწიფო მონეტებს ან მათ მიმღებ სხვა პირებს.

მუხლი 4. მეფეს შედგენილი აქვს პენსიებისა და შემწებების სია, რათა წარუდგინოს ის საკანონმდებლო ორგანოს თითოეულ სესიაზე და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი დამატება.

განყოფილება I

კანონების გამოქვეყნება

მუხლი 1. აღმასრულებელ ხელისუფლებას ევალება კანონებზე სახელმწიფო ბეჭდის დასმა და მათი გამოქვეყნება. მას ანალოგიურად ევალება საკანონმდებლო ორგანოს იმ აქტების გამოქვეყნება და აღსრულება, რომლებიც არ საჭიროებს მეფის თანხმობას.

მუხლი 2. შედგენილი უნდა იქნეს ყოველი კანონის ორი დედანი, რომელსაც ხელს აწერს მეფე, ხელმოწევით ამოწმებს იუსტიციის მინისტრი და, რომლებზეც ისმება სახელმწიფო ბეჭედი.

ერთი მათგანი უნდა ინახებოდეს ბეჭდის არქივში, ხოლო მეორე უნდა ინახებოდეს საკანონმდებლო ორგანოს არქივში.

მუხლი 3. კანონების გამოცხადება ხდება შემდეგი ფორმით: „N. (მეფის სახელი), საფრანგეთის მეფე ღვთის წყალობითა და სახელმწიფოს კონსტიტუციით, ყველა ახლანდელი და მომავალი სიკეთით. ეროვნულმა ასამბლეამ გადაწყვიტა და ჩვენ გვსურს და ვბრძანებთ შემდეგს:“



(გადაწყვეტილების ასლი სიტყვა-სიტყვით თან ერთვის ყოველგვარი ცვლილების გარეშე).

„ჩვენ ვუბრძანებთ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს და სასამართლოს, შეიტანონ ეს დოკუმენტი თავიანთ რეესტრებში, წაიკითხონ, გამოაქვეყნონ, განათავსონ თავიანთ დეპარტამენტებსა და განყოფილებებში და აღასრულონ როგორც სამეფოს კანონი. ამის დასადასტურებლად ჩვენ ხელი მოვაწერეთ და დავასვით სახელმწიფოს ბეჭედი“.

მუხლი 4. თუ მეფე არასრულწლოვანია, მამინ კანონები, პროკლამაციები და სამეფო ხელისუფლების სხვა აქტები რეგენტობის განმავლობაში იქნება შემდეგი: „N. (რეგენტის სახელი), სამეფოს რეგენტი N-ის (მეფის სახელი) სახელით, საფრანგეთის მეფე ლეთის წყალობითა და სახელმწიფოს კონსტიტუციით და ა.შ.

მუხლი 5. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა გაუზავნოს კანონები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებს, დაადასტუროს ეს გაზავნა და ანგარიში ამის შესახებ მიაწოდოს საკანონმდებლო ორგანოს.

მუხლი 6. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია კანონის გამოცემა, თუნდაც ღრობითი კანონისა, არამედ შეუძლია გამოსცეს მხოლოდ პროკლამაციები, კანონის შესაბამისად, რომ მითხროს მათი აღსრულება.

განყოფილება II

შიდა ადმინისტრაცია

მუხლი 1. თითოეულ და ყოველ დეპარტამენტს უნდა ჰყავდეს ზემდგომი ადმინისტრაცია, ხოლო თითოეულ და ყოველ რაიონს – ქვემდგომი ადმინისტრაცია.

მუხლი 2. ადმინისტრაციის მმართველებს არ აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ისინი არიან განსაზღვრული ვადით ხალხის მიერ არჩეული პირები ადმინისტრაციული მოვალეობების შესასრულებლად მეფის ზედამხედველობისა და უფლებამოსილების ქვეშ.

მუხლი 3. მათ არ აქვთ უფლება ჩაერიონ საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში, შეაჩერონ კანონების აღსრულება, ან რაიმე სახით ხელყონ სასამართლო ბრძანება ან სამხედრო ღონისძიებები ან თპერაციები.

მუხლი 4. ადმინისტრაციის მმართველებს ძირითადად ევალებათ პირდაპირი გა-

დასახადების შეფასება და მათ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან მიღებულ შემოსავალზე ზედამხედველობა.

მათი ფუნქციონირების წესებისა და ფორმის განსაზღვრა ზემოთ ხსენებულ საკითხებში, ასევე შიდა ადმინისტრაციის ყველა სხვა ასპექტში, ევალება საკანონმდებლო ხელისუფლებას.

მუხლი 5. მეფეს უფლება აქვს გააუქმოს დეპარტამენტის მმართველის აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს ან მეფის მიერ მის მიმართ გაცემულ ბრძანებებს.

მეფეს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს დეპარტამენტის მმართველი მუდმივი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ან თუ მისი ქმედებები საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სიმშვიდეს.

მუხლი 6. ანალოგიურად, დეპარტამენტის მმართველს უფლება აქვს გააუქმოს რაიონის ქვემმართველის აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონს, დეპარტამენტის მმართველის ბრძანებებს ან ამ უკანასკნელის მიერ რაიონის ქვემდებარე მმართველის მიმართ გაცემულ ან გაგზავნილ ბრძანებებს.

ანალოგიურად, დეპარტამენტის მმართველს შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს ქვემდებარე მმართველი მუდმივი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ან თუ ის თავისი მოქმედებებით საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სიმშვიდეს, იმ პირობით, თუ ამის შესახებ ეცნობება მეფეს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს ან დაადასტუროს ქვემდებარე მმართველის თანამდებობიდან გადაყენება.

მუხლი 7. თუ დეპარტამენტის მმართველი არ გამოიყენებს მისთვის წინა მუხლით დელეგირებულ უფლებამოსილებას, მეფეს შეუძლია პირდაპირ გააუქმოს ქვემდებარე მმართველის აქტები და თანამდებობიდან გადააყენოს ქვემდებარე მმართველი იმავე შემთხვევაში.

მუხლი 8. როდესაც მეფე გამოაცხადებს ან დაადასტურებს ადმინისტრაციის მმართველის ან ქვემდებარე მმართველის თანამდებობიდან გადაყენებას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საკანონმდებლო ორგანოს.

საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია გააუქმოს ან დაადასტუროს თანამდებობიდან გადაყენება ან თუნდაც დაითხოვოს დაშნაშავე ადმინისტრაცია და, საჭიროების შემთხვევაში წარგზავნოს ადმინისტრაციის ყველა მმართველი ან ნებისმიერი მათგანი სისხლის სამართლის სასამართლოში, ან მათ წინააღმდეგ გამოსცეს საბრალდებო აქტი.



განყოფილება III

საგარეო ურთიერთობები

მუხლი 1. მხოლოდ მეფეს შეუძლია აწარმოოს პოლიტიკური ურთიერთობები საზღვარგარეთ, გამართოს მოლაპარაკებები, აწარმოოს თმის სამზადისი მეზობელი სახელმწიფოების სამზადისის პროპორციულად, განაწილოს სამხედრო სახმელეთო და საზღვაო ძალები ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევს, და მართოს მათი გადაადგილება თმის შემთხვევაში.

მუხლი 2. თმის გამოცხადება უნდა მოხდეს შემდეგი პირობებით: საფრანგეთის მეფის მიერ, ერის სახელით.

მუხლი 3. ყველა უცხო სახელმწიფოსთან სამშვიდობო, სამოკავშირეთო და საგაჭრო ხელშეკრულებების და სხვა ხელშეკრულებების დადება და ხელმოწერა, რომლებსაც ის მიიჩნევს საჭიროდ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, ევალება მეფეს, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მათი რატიფიკაციის პირობით.

თავი V

სასამართლო ხელისუფლების უმსახე

მუხლი 1. სასამართლო ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ორგანომ ან მეფემ.

მუხლი 2. მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს უსასყიდლოდ, ხალხის მიერ განსაზღვრული ვადით არჩეული და მეფის საბატენტო სიგელებით თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლეების მიერ; ამასთან, მეფეს არ აქვს უფლება უარი თქვას მათ დანიშნაზე.

დაუშვებელია მოსამართლის გადაყენება, გარდა სათანადოდ განსაზღვრული უფლების ჩამოტოვების შემთხვევისა, ან მისი უფლებამოსილების შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება აღიარებული საბრალდებო აქტით.

პროკურორი უნდა აირჩიოს ხალხმა.

მუხლი 3. სასამართლოს უფლება არ აქვს ჩაერიოს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებაში, შეაჩეროს კანონების აღსრულება, ხელყოს ადმინისტრაციული ფუნქციები ან გამოიძახოს ადმინისტრაციის მმართველები მათ მოვალეობებთან დაკავშირებული მიზნებით.

მუხლი 4. კანონით გათვალისწინებულის გარდა, ვერანაირი რწმუნებულება ან

სხვა კომპეტენცია და ქვედგომი სასამართლოდან საქმის გამოთხოვა ვერ ვახდება მოქალაქეებისთვის მათზე კანონით გაბიზონებული მოსამართლის ყოლის უფლების ჩამოტოვების საფუძველი.

მუხლი 5. დაუშვებელია მოქალაქეთა მიერ დავების საბოლოოდ აბიზონაჟის შემთხვევით გადაწყვეტის უფლების ხელყოფა საკანონმდებლო ხელისუფლების აქტებით.

მუხლი 6. საერთო სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს სამოქალაქო სარჩელი, თუ არ იქნება წარმოდგენილი იმის მტკიცებულება, რომ მხარეები გამოცხადდნენ, ან რომ მოსარჩელემ გამოიძახა თავისი მოწინააღმდეგე შუამავლების წინაშე მოჩივების მისაღწევად.

მუხლი 7. კანტონებსა და ქალაქებში უნდა არსებობდეს ერთი ან მეტი მომჩივებელი მოსამართლე. მომჩივებელი მოსამართლეების ჩათვლით განისაზღვრება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

მუხლი 8. სასამართლოების ჩათვლითსა და იურისდიქციის და ყოველი სასამართლოს შემადგენელი მოსამართლეების ჩათვლითს დადგენა განეკუთვნება საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებას.

მუხლი 9. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქალაქე უნდა გასამართლდეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაცემული საბრალდებო აქტის საფუძველზე, იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალის წაყენება განეკუთვნება მათ უფლებამოსილებას.

საბრალდებო აქტის მიღების შემდეგ ეს ფაქტი უნდა აღიარონ და დაადგინონ ნაფიცმა მსაჯულებმა.

ბრალდებულს უფლება აქვს უარყოს ოცამდე საბრალდებო აქტი საფუძველების მითითების გარეშე.

ფაქტის დამდგენ ნაფიც მსაჯულთა ჩათვლითსა არ უნდა იყოს თანამეჭრე ნაკლები კანონის გამოყენება უნდა მოხდეს მოსამართლეების მიერ.

გამოძიება უნდა იყოს საჯარო და ბრალდებულს არ შეიძლება უარი ეთქვას ადვოკატის დახმარებაზე.

დაუშვებელია კანონიერ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამართლებული პირის ხელახლა დაკავება ან მისთვის ბრალის დადება იმავე ქმედებისთვის.

მუხლი 10. პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ პოლიციელის წინაშე წარდგენით; პირის დაკავება ან დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ პოლიციის ორდ-



რის, სასამართლოს დაკავების თრღერის, საკანონმდებლო თრგანოს საბრალდებო აქტის, თუ განაჩენის გამოტანა განეკუთვნება მის უფლებამოსილებას, ან ცხინეში ან გამოსასწორებელ დაწესებულებებში სასჯელის მისჯის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 11. ყოველი დაკავებული და პოლიციელის წინაშე წარდგენილი პირი უნდა დაიკითხოს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს თცდათთნი საათის განმავლობაში. თუ დაკითხვისას აღმოჩნდება, რომ არ აჩსებობს პირის ბრალდების საფუძველი, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს; ან თუ აუცილებელია პირის ცხინეში გადაყვანა, ეს უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მალე და არა უგვიანეს სამი დღის განმავლობაში.

მუხლი 12. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც კანონით დაშვებულია პირის გირათი გათავისუფლება, არ უნდა მოხდეს მისი დაკავება, თუ ის წარმოადგენს საკმარის გირათს.

მუხლი 13. თუ პირის დაკავება კანონით არის ნებადართული, მისი გადაყვანა ან დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ადგილებში, რომლებიც არის კანონიერად და საჯაროდ განსაზღვრული საპატიმრო დაწესებულება, სასამართლოს შენობა ან ცხინე.

მუხლი 14. დარაჯს ან მეციხოვნეს უფლება აქვს მიიღოს ან დააკავოს პირი მხოლოდ მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაკავების თრღერის ან ბრძანების, საბრალდებო აქტის ან სასჯელის მისჯის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, და იმ შემთხვევაში, თუ მის აღრიცხვის ჟურნალში გაკეთებულია შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 15. ყველა დარაჯი ან მეციხოვნე ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, პატიმარი წარუდგინოს საპატიმრო დაწესებულებაზე პასუხისმგებელ სამოქალაქო თანამდებობის პირს; და არცერთ ბრძანებას არ შეუძლია მისი ამ ვალდებულებისგან გათავისუფლება.

ანალოგიურად, პატიმრის ნახვაზე უარი არ უნდა ეთქვას მის ნათესავებს და მეგობრებს, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო თანამდებობის პირის თრღერი, რომელიც ყოველთვის ვალდებულია გასცეს ის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დარაჯი ან მეციხოვნე წარმოადგენს მის აღრიცხვის ჟურნალში შეტანილ მთსამართლის განკარგულებას ბრალდებულის სამართლო პატიმრობაში ყოლის შესახებ.

მუხლი 16. ნებისმიერი პირი, მისი თანამდებობის ან სამსახურის მიუხედავად, იმ პირების გარდა, რომლებსაც კანონი ანიჭებს დაკავების უფლებას, რომელიც გასცემს, ხელს აწერს, აღასრულებს ან აღასრულებინებს მოქალაქის დაკავების თრღერს, ან რომელიც, თუნდაც კანონით ნებადართული დაკავების შემთხვე-

ვაში, გადაიყვანს, მიიღებს ან დააკავებს მოქალაქეს დაკავების ისეთ ადგილზე, რომელიც არ არის საჯაროდ და კანონიერად საამისოდ განსაზღვრული, ასევე ნებისმიერი დარჯი ან მეცნიერე, რომელიც არღვევს მე-14 და მე-15 მუხლების დებულებებს, არის დამნაშავე თავისუფლების თვითნებური აღკვეთის დანაშაულის ჩადენაში.

მუხლი 17. დაუშვებელია პირის დაკითხვა ან სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიერ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ნაბეჭდი ან გამოქვეყნებული ნაწერების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის განზრახ მოუწოდებს კანონის მიმართ დაუმორჩილებლობისკენ, კანონიერი ხელისუფლების თრგანობის ღირსების დამცირებისკენ, მათი ქმედებების მიმართ წინააღმდეგობისკენ ან ნებისმიერი ქმედებისკენ, რომელიც კანონით გამოცხადებულია დანაშაულად ან სამართალდარღვევად.

კანონიერი ხელისუფლების თრგანობის ქმედებათა დაგმობა ნებადართულია; მაგრამ სახელმწიფო მონელების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მათი კეთილსინდისიერების და პატიოსნების წინააღმდეგ გამიზნული ცილისწამების მიმართ შეიძლება განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შესაბამისი პირობის მიერ.

ცილისწამება და შეურაცხყოფა ნებისმიერი პირის მიმართ, მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, არის დასჯადი საჩივლის შეტანის შემთხვევაში.

მუხლი 18. დაუშვებელია პირის გასამართლება, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცედურის ფარგლებში, ნაბეჭდი ან გამოქვეყნებული ნაწერებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაფიცო მსაჯულები არ აღიარებენ და გამოაცხადებენ: პირველი, რომ ასეთი ნაწერები შეიცავს სამართალდარღვევას; მეორე, რომ ბრალდებული არის დამნაშავე.

მუხლი 19. საკანონმდებლო თრგანოსთან უნდა შეიქმნას ერთიანი საკასაციო სასამართლო მთელი სამეფოსთვის. მის ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს გადაწყვეტილებების გამოტანა შემდეგთან დაკავშირებით: საკასაციო შუამდგომლობა ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ; შუამდგომლობა ლეგიტიმური ეჭვის გამო ერთი სასამართლოდან მეორეში გადაყვანის შესახებ; მოსამართლის განჩინება და მთელი სასამართლოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივლი.

მუხლი 20. საკასაციო საქმისწარმოების დროს საკასაციო სასამართლოს არასდროს აქვს განსჯადობა საჩივლის არსებით მხარესთან დაკავშირებით; მაგრამ ისეთი განაჩენის გაუქმების შემდეგ, რომელიც დარღვეული იყო საქმისწარმოების პროცედურა, ან რომელიც შეიცავდა კანონის პირდაპირ დარღვევას, საკასაციო

სასამართლო საქმეს აჩვენებით განხილვისთვის გადასცემს შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლოს.

მუხლი 21. როდესაც, თბილისში საკასაციო განხილვის შემდეგ, მესამე სასამართლოს განაჩენი გასაჩივრებულია იმავენივე, როგორც პირველი თბილისი, საკითხი დამატებით აღარ განხილება საკასაციო სასამართლოში საკანონმდებლო თვითმართვის წარდგენის გარეშე, რომელმაც უნდა გამოსცეს კანონის განმარტებითი დადგენილება, რომელსაც საკასაციო სასამართლო უნდა დაემოწმოს.

მუხლი 22. საკასაციო სასამართლომ ყოველწლიურად უნდა გაზიაროს საკანონმდებლო თვითმართვის ადვოკატთა კოლეგიაში მისი რვა წევრისგან შემდგარი დეპუტატია, რომლებმაც უნდა წარადგინონ გამოტანილი განაჩენების შესახებ ანგარიში, რომელთაგან თითოეულს თან უნდა დაერთოს საჩივრის შესახებ მოკლე ანგარიში და იმ კანონის ტექსტი, რომელიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას.

მუხლი 23. ერთვულ უმაღლეს სასამართლოს, რომელიც შედგება საკასაციო სასამართლოს წევრებისა და ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მსაჯულებისგან, აქვს განსჯადობა მინისტრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე და სახელმწიფოს საერთო უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, როდესაც საკანონმდებლო თვითმართვის გამოცემული აქვს ბრალდების აქტი.

ერთვული უმაღლესი სასამართლო უნდა შეიკრიბოს მხოლოდ საკანონმდებლო თვითმართვის პროკლამაციის საფუძველზე და საკანონმდებლო თვითმართვის სესიების გამართვის ადგილიდან სულ მცირე 30 000 ტუაზის მოშორებით.

მუხლი 24. სასამართლოს განაჩენის აღსრულების ფურცელი ფორმულირებული უნდა იყოს შემდეგნაირად: „ნ. (მეფის სახელი), ღვთის მადლითა და სახელმწიფოს კონსტიტუციური კანონმდებლობით, საფრანგეთის მეფე, ყველას ახლა და მომავალში, მიესალმება. სასამართლომ გამოიჭანა შემდეგი განაჩენი: (აქ უნდა ჩაიწეროს განაჩენი, მოსამართლეთა სახელების მითითებით). „ჩვენ ვუბრძანებთ და განკარგულებას ვაძლევთ სასამართლოს ყველა მანდატურს, ამ თვითმართვითი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, აღსრულონ ზემოაღნიშნული განაჩენი, ხოლო ჩვენს სასამართლო კომისრებს, რომ ხელი შეუწყონ მათ, და სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყველა მეთაურს და თვითმართვით, რომ გაუწიონ მათ დახმარება, როდესაც კანონი ამას მოითხოვს. აღნიშნულის დასტურად წინამდებარე განაჩენს ხელს აწერენ სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი“.

მუხლი 25. სასამართლოში მეფის კომისრის ფუნქციას წარმოადგენს განაჩენის გამოტანისას კანონების დაცვის მოთხოვნა და გამოტანილი განაჩენის აღსრულება.



მეფის კომისარი არ უნდა იყოს პროკურორი, მაგრამ მას უნდა მოუსმინონ ყველა საბრალდებო აქტში, და ის მოითხოვს საქმისწარმოების დროს პროცედურის სისწორის დაცვას და კანონის გამოყენებას განაჩენის გამოტანამდე.

მუხლი 26. სასამართლოში მეფის კომისარმა ნაფიც მსაჯულთა მამასახლისთან უნდა ამხილოს, მისი მოვალეობების ან მეფის მიერ მისთვის მიცემული განკარგულების შესაბამისად:

მოქალაქეთა პირადი თავისუფლების, სასურსათო საქონლის და სხვა სავაჭრო საქონლის თავისუფალი მიმოქცევის და გადასახადების აკრეფის დარღვევის შემთხვევები;

ის სამართალდარღვევები, რომლითაც ირღვევა ან ფერხდება მეფის მიერ გაცემული განკარგულებების აღსრულება მისთვის დელეგირებული ფუნქციების შესრულებისას;

საერთაშორისო სამართლის დარღვევის შემთხვევები;

განაჩენის და კანონიერი ხელისუფლების თრგანობის მიერ გამოტყეული ყველა აღმასრულებელი აქტის აღსრულების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევები.

მუხლი 27. იუსტიციის მინისტრმა, მეფის კომისრის მეშვეობით და დაინტერესებულ მხარეთა უფლებების შეუზღუდავად, საკასაციო სასამართლოში უნდა ამხილოს ისეთი აქტები, სადაც მოსამართლემ გადააჭარბა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს.

სასამართლოში უნდა გააუქმოს ასეთი აქტები, თუ ისინი იწვევენ უფლების ჩამოტევისას, ამ ფაქტის შესახებ უნდა ეცნობოს საკანონმდებლო თრგანოს, რომელმაც საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოსცეს საბრალდებო აქტი და უნდა წარადგინოს ბრალდებული პირები ერთგული უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

პარტი IV

სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შესახებ

მუხლი 1. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შექმნილია უცხო ქვეყნებიდან შემოსული მტრისგან სახელმწიფოს დასაცავად, წესრიგისა და კანონების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შედგება: სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალებისგან; სპეციალურად შიდა სამსახურისთვის განკუთვნილი ჯარისგან; და, დამატებით, ყველა იმ აქტიური მოქალაქისგან, რომელიც იმყოფება



აღრიცხვებზე ეროვნულ გვარდიამი, და მათი შვილებისგან, რომლებსაც შეუძლიათ იარაღის ტარება.

მუხლი 3. ეროვნული გვარდია არ არის სამხედრო ორგანო ან ინსტიტუტი სახელმწიფოს შიგნით; ისინი თავად არიან მოქალაქეები, რომლებიც გამოძახებული არიან სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის.

მუხლი 4. მოქალაქეებს უფლება აქვთ შეიკრიბონ და იმოქმედონ როგორც ეროვნული გვარდია, მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის ან ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 5. ამ რანგში ისინი ექვემდებარებიან კანონით განსაზღვრულ ორგანიზაციას. მათ უფლება აქვთ გქონდეთ მხოლოდ ერთი დისციპლინური წესრიგი და ერთი უნიფორმა მთელ სამეფოში.

წოდებები და ქვემდებარეობა არსებობს მხოლოდ სამსახურის მიმართ და მისი ხანგრძლივობის განმავლობაში.

მუხლი 6. თფიცრებს იზრევენ განსაზღვრული ვადით და მათი ხელახლა აზრევა შეიძლება მხოლოდ ჯარისკაცებად მსახურობის პერიოდის შემდეგ.

არავის აქვს უფლება, იყოს ერთზე მეტი რაიონის ეროვნული გვარდიის მეთაური.

მუხლი 7. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყველა დანაყოფი, რომელიც იცავს სახელმწიფოს უსაფრთხოებას უცხო ქვეყნებიდან შემოსული მტრის წინააღმდეგ, უნდა მოქმედებდეს მეფის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 8. ქვეითი ჯარის არცერთ დანაყოფს ან რაზმს არ შეუძლია იმოქმედოს სამეფოს შიგნით კანონიერი რეკვიზიციის გარეშე.

მუხლი 9. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელს შეუძლია შევიდეს მოქალაქის სახლში მხოლოდ პოლიციის და სასამართლოს ორდერების აღსასრულებლად ან კანონით ცალსახად გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 10. სამეფოს შიდა ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების რეკვიზიცია ენება სამოქალაქო მონელებს, საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 11. თუ არეულობა აწუხებს მთელ დეპარტამენტს, მეფემ, თავისი მინისტრების პასუხისმგებლობით, უნდა გასცეს საჭირო ბრძანებები კანონების აღსასრულებლად და წესრიგის აღსადგენად, მაგრამ ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირების პირობით, თუ ის მართავენ სესიას, და მისი მოწვევის პირობით, თუ საკანონმდებლო ორგანო ისვენებს.



მუხლი 12. შეიარაღებული ძალები, თავისი ბუნებით, მოტრიალია. არცერთ შეიარაღებულ კორპუსს არ შეუძლია ჩრევის მიცემა.

მუხლი 13. სახელმწიფო და საზღვაო სამხედრო ძალებზე და ჯარებზე, რომელთა დანიშნულებაცაა შიდა უსაფრთხოების დაცვა, ვრცელდება განსაკუთრებული კანონები როგორც დისციპლინის შენარჩუნებასთან, ისე სასამართლო პროცედურებთან და სამხედრო სამართალდარღვევისთვის სასჯელთან დაკავშირებით.

პარო V

სახელმწიფო გადასახადების შესახებ

მუხლი 1. სახელმწიფო გადასახადებს ყოველწლიურად განიხილავს და ადგენს საკანონმდებლო ორგანო და, თუ არ მოხდა მათი ცალსახად განახლება, ისინი შეიძლება დაჩრეს მოქმედებაში მხოლოდ მომდევნო სესიის ბოლო დღემდე.

მუხლი 2. არავითარი საბაბით არ შეიძლება სახელმწიფო ვალის გადახდისთვის და სამოქალაქო სიისთვის აუცილებელ ფულად სახსრებზე უარის თქმა ან მათი შეჩერება.

პენსიანზე გასული, სამსახურში დაჩრენილი ან დამფუძნებელი, ეროვნული ასამბლეის დადგენილებებით აჩრეული ან დანიშნული კათოლიკური აღმსარებლობის სასულიერო პირების ხელფასი ეროვნული ვალის ნაწილია.

საკანონმდებლო ორგანომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაამძიმოს ერო ცალკეული ფიზიკური პირის ვალების გადახდით.

მუხლი 3. სამინისტროს განყოფილებათა დანახარჯების შესახებ დეტალური ანგარიშები, რომლებიც ხელმოწერილი და დამოწმებულია მინისტრების ან გენერალური მმართველების მიერ, უნდა გასაჯაროვდეს გამოქვეყნების გზით ყოველი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს სესიის დაწყებისას.

იმავენიზად ხდება სახელმწიფო გადასახადებიდან შემოსავლებისა და ყველა სახელმწიფო შემოსავლის შესახებ ანგარიშების შემთხვევაში.

ანგარიშები ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ უნდა იყოს დაყოფილი ტიპების მიხედვით და ასახავდეს ყოველწლიურად თითოეულ რაიონში მოკრებილ და დახარჯულ თანხებს.

იმავენიზად ქვეყნდება თითოეული დეპარტამენტის და სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოსა და სხვა დაწესებულების ხარჯები.

მუხლი 4. დეპარტამენტების მმართველებს და ქვემდებარე მმართველებს არ



აქვთ უფლება დააწესონ სახელმწიფო გადასახადი ან განახორციელონ შეფასება საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადგენილ ვადებსა და თანხებზე დამატებით, ან საკანონმდებლო ორგანოს ნებადართვის გარეშე განიხილონ ან დაბრუნონ ნება ადგილობრივ სესხზე დეპარტამენტის მოქალაქეების ხარჯზე.

მუხლი 5. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს და ზედამხედველობას უწევდეს გადასახადების აკრეფასა და გადახდას, და ამ მიზნით გასცემდეს ყველა საჭირო ბრძანებას.

კაპი VI

ფრანგი ერის სხვა მკვიდრი უპროპორციულობის შესახებ

ფრანგი ერი უაზრს ამბობს თმის წამოწყებაზე დაპყრობის მიზნით და ის არასდროს გამოიყენებს თავის შეიარაღებულ ძალებს რომელიმე ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ.

კონსტიტუცია არ აღიარებს საფრანგეთის მეფის უფლებას საფრანგეთში გარდაცვლილი უცხოელი ქვეყნის მოქალაქეების ქონებაზე.

უცხოელებს, რომლებიც არიან ან არ არიან დამკვიდრებულნი საფრანგეთში, შეუძლიათ მიიღონ მემკვიდრეობა თავიანთი ფრანგი ან უცხოელი ნათესავებისგან.

მათ შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება, შეიძინონ და მიიღონ საფრანგეთში მდებარე ქონება და შეუძლიათ განკარგონ ის იმავენაირად, როგორც საფრანგეთის ნებისმიერ მოქალაქეს, კანონით ნებადართული ყველა ფორმით.

საფრანგეთში მყოფ უცხოელებზე ვრცელდება იგივე სისხლის სამართლისა და საპოლიციო კანონები, რომლებიც ვრცელდება საფრანგეთის მოქალაქეებზე, გარდა უცხო სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებებისა; მათი პიროვნება, ქონება, საქმიანობა და რელიგია ანალოგიურად არის დაცული კანონით.

კაპი VII

საკონსტიტუციო აქტების გადასინჯვის შესახებ

მუხლი 1. ეროვნული დამფუძნებელი ასამბლეა აცხადებს, რომ ექვს ხელშეუვალი უფლება, შეცვალოს თავისი კონსტიტუცია. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულ ინტერესს უფრო მეტად შეესაბამება თავად კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საშუალებებით მხოლოდ იმ მუხლების გაუმჯობესების უფლების



რომელიც მიიღო ერთგულმა დამფუძნებელმა ასამბლეამ 1789, 1790 და 1791 წლებში და რომ ყოველმხრივ იქნებოდა ერის, კანონისა და მეფის ერთგულნი.

მუხლი 8. ამის შემდეგ, გადამსინჯავი კრება დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მისთვის წარდგენილი საკითხების განხილვას; მისი სამუშაოს დასრულებისთანავე, დამატებით არჩეული 249 წევრი უნდა გადადგეს და მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეთ საკანონმდებლო აქტებში მონაწილეობის მიღების უფლება.

საფრანგეთის კოლონიებსა და ქნებებზე აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოადგენენ საფრანგეთის სამფლობელოს შემადგენელ ნაწილს, წინამდებარე კონსტიტუცია არ ვრცელდება.

კონსტიტუციით დადგენილ არცერთ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, შეცვალოს ის მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ არა მასში შესწორების გზით განხორციელებული ცვლილებებისა, ზემოთ მოცემული VII კანონის დებულებების შესაბამისად.

ერთგული დამფუძნებელი ასამბლეა კონსტიტუციის დაცვას ანდობს საკანონმდებლო ორგანოს, მეფისა და მოსამართლეების კეთილსინდისიერებას, ოჯახების მამების, ცოლებისა და დედების სიფხიზლეს, ახალგაზრდა მოქალაქეების მზრუნველობას და ყველა ფრანგის სიამაძაცეს.

ერთგული დამფუძნებელი ასამბლეის განკარგულებები, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენენ საკონსტიტუციო აქტებს, უნდა აღსრულდეს კანონების სახით; ანალოგიურად უნდა შესრულდეს წინა კანონები, რომლებიც მათ არ გაუუქმებიათ, თუ ერთიც და მეორეც არ გაუქმებულა ან შეცვლილა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

ერთგული ასამბლეა, მოისმინა რა ზემოაღნიშნული საკონსტიტუციო აქტი და დაამტკიცა ის, აცხადებს, რომ კონსტიტუცია დასრულებულია და მასში არაფერი არ უნდა შეიცვალოს.

დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს სამოცი წევრისგან შემდგარი დეპუტაცია, რომელიც მეფეს ოცდაათნი საათის განმავლობაში წარუდგენს საკონსტიტუციო აქტს.

ხელს აწერს VERNIER, თავმჯდომარე;

POUGEARD, COUPPÉ, MAILLY-VHATEAURENAUD,
CHAILLON, AUBRY,

მასის დეპარტამენტის ეპისკოპოსი;

DARCHE, მდივანი.

1791 წლის 3 სექტემბერი.

მოისმინა რა წინამდებარე კონსტიტუცია და დაამტკიცა ის, ეზოგენული ასამბლეა აცხადებს, რომ კონსტიტუცია მიღებულია და მასში ვერაფერს შეცვლის.

ის დაუყოვნებლივ იზრევს 60 წევრისგან შემდგარ დელეგაციას, რათა მეფეს დღესვე წარუდგინოს კონსტიტუცია.

ხელს აწებს VERNIER, თავმჯდომარე;

POUGEARD, COUPPÉ, MAILLY-VHATEAURENAUD,
CHAILLON, AUBRY,

მასის დეპარტამენტის ეპისკოპოსი;
DARCHE, მდივანი.

ჩვენ ვაცნობებთ და ვუბრძანებთ ყველა სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოს და მუნიციპალიტეტს, წინამდებარე შეიჯანთნ რეესტრში, წაიკითხონ, გამოაცხადონ, განათავსონ ის თავიანთ დეპარტამენტებსა და იურისდიქციებში

და აღასრულონ როგორც სამეფოს კანონი.

დასტურად, ჩვენ მოვაწერეთ ხელი წინამდებარე დოკუმენტს და დავასვით

სახელმწიფო ბეჭედი.

შესრულებულია პარიზში, სექტემბრის მეოთხემეტე დღეს, ახალი წელთაღრიცხვითათას შვიდას ოთხმოცდათერთმეტ წელს და ჩვენი მეფობის მეფობამეტე წელს.

ლუდოვიკი

M. L. F. du Port.

(ბეჭედი)